



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1599
29/08/2018

ქალაქი ბათუმი

1599-05-4-201808291529



ასმათ კონცელიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“-ს საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე, 45-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 დადგენილების, თეიმურაზ გაწერელიას 2018 წლის 31 ივლისის №2202-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი 2018 წლის 28-29 ივლისის „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №3“ - საოქმო გადაწყვეტილებისა და ასმათ კონცელიძის 2018 წლის 20 აგვისტოს №11327/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. 2018 წლის 29 აგვისტოდან დაინიშნოს ასმათ კონცელიძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, 12 თვით გამოსაცდელი ვადით.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა